პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 57 (3034) 23 მარტი. 1966 წ. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

სკოლის სპორტული ცხოვრება

განსაკუთრებით დიდი ალფოთებაა გრაფილიაში

გატაცებული ქალღმერთის კვალდაკვალ

შეკითხვები, შეკითხვები...

სპორტული სამყარო შეშფოთებულია. ლონდონის მისამართით მთელი მსოფლიოდან მოდის შეკითხვები, შეკითხვები, შეკითხვები... „სად არის ოქროს ქალღმერთი, რა ისმის ახალი?“

ახალი კი ბევრი არაფერი ისმის. ქალღმერთი ნიკე კვლავინდებურად განგსტერთა ხელთაა. ბევრი სააგენტო, ჟურნალი და გაზეთი წერს, რომ ასეთი უსვინდისო ქურდობა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ ინგლისში, რომელმაც ბოლო ხანებში სახელი გაითქვა დიდი მასშტაბის მძარცველობებით. სკოტლანდ-იარდის მთელი საძებრო აპარატი ფეხზე დგას ასეთი ლოზუნგით: „ინგლისი უნდა გადავარჩინოთ სამარცხვინო სკანდალს“.

ვერსია, რომ ოქრო რომეს თასის გატაცება მხოლოდდამხოლოდ ოხუნჯი სტუდენტების მამიტი გართობაა, უარყვეს მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა პოლიციელმა გაიხსენა, რომ კვირადღეს, დაახლოებით 11 საათზე, მან ვესტმინსტერის საგამოფენო დარბაზთან ნახა შავ კოსტუმში გამოწყობილი, საეჭვო გარეგნობის. სახენაიარევი კაცი, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო სტუდენტურ ასაკთან. ახლა გაფაციცებით ეძებენ ამგვარი ნაკრილობევი სახის მქონე ადამიანებს.

პრესაში გამოჩნდა ასეთი საინტერესო ცნობა: ქურდებს თურმე ხელი არ უხლიათ მარკების უნიკალური კოლექციისთვის, რომელიც იქვე, საგამოფენო დარბაზში ინახებოდა. ეს მარკები კი ოქროს ქალღმერთზე ასჯერ უფრო ძვირადაა შეფასებული და 8.400 ათასი დოლარი ღირს. რა გამართლებაა აქვთ მათ. იქნებ, ის, რომ მარკების მოპარვით ვერავის გააკვირვებ. ქალღმერთ ნიკეს დაკარგვამ კი მთელი მსოფლიო აფორიაქა. აქ სულ უფრო ხშირად იხსენებენ, რომ საფებბურთო თასის გატაცება ინგლისში პირველი შემთხვევა არაა ჯერ კიდევ 1895 წელს ლონდონში მოიპარეს ინგლისის საფეხბურთო თასი, რომელიც მოიძებნეს მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ.

პრესა შეკითხვით მიმართავს ფებბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს ს. როუზს: რას გადაწყვეტს ფიფა, თუ პრიზი არ იქნა ნაპოვნი? გააკეთებენ ქალღმერთ ნიკეს ზუსტ ასლს, თუ შექმნიან ახალ პრიზს? პასუხი ჯერჯერობით არაა.

მსოფლიო უცდის ცნობებს ინგლისიდან.

საღ ხარ, ნიკე?

დიდი საფეხბურთო სკანდალი მოხდა ქაიროში. მსაჯის გადაწყვეტილებით განაწყენებულმა 40 ათასამდე მაყურებელმა ნამდვილი აჯანყება მოაწყო. საჭირო გახდა პოლიციის ჩარევა. საქმე იმით დამთავრდა, რომ არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ფეხბურთის ასოციაციამ ამ დღეს მოასპარეზე გუნდებს „ზამალექსა“ და „ეროვნულ სპორტკლუბს“ აუკრძალა თავიანთ მინდვრებზე თამაში არა მარტო წლეულს, არამედ გაისადაც.

მაგრამ სპორტულ სამყაროში ეს გახმაურებული ამბავი ლონდონში მომხდარმა შემთხვევამ დაჩრდილა.

„... იგი 30 წლისაა. გამხდარი, საშუალო ტანის, შავთმიანი და ჭროღოთვალება. მარჯვენა ლოყაზე ნაიარევი აქვს“. ამ კაცის აღწერა მიიღო ლონდონის ყველა პოლიციელმა.

სკოტლანდ-იარდის მუშაკებს ოქროს ქალღმერთის პოვნის ერთობ პატარა იმედი აქვთ. ამ ორგანიზაციის მთავარმა ინსპექტორმა უ. ლიტლმა, ვისაც დავალებული აქვს ამ საქმის წარმოება, განაცხადა, რომ ქურდებს ძალიან გაუძნელდებათ თასის გაყიდვა, ვინაიდან მას დედამიწის ყოველ კუთხეში იცნობენ. მაგრამ შეიძლება თასის გადადნობა და იმ ოქროს გაყიდვა, რომლისგანაცაა დამზადებული ნიკე.

აღვნიშნავთ, რომ ქალღმერთი დაზღვეულია 30 ათას გირვანქა სტერლინგად (84 ათას დოლარად). მაგრამ თუ თასს გადაადნობენ, მისი ღირებულება დაახლოებით ათჯერ დაეცემა.

დეტექტივების სიტყვებით, თასის დასაცავად გამოყოფილი ექვსივე მუშაკი იმ საბედისწერო შემთხვევის დროს შენობაში იმყოფებოდა. 11 საათზე მათ დარბაზის მორიგი შემოვლა მოახდინეს და როცა თასი ადგილზე ნახეს, მშვიდად გავიდნენ ოთახიდან. ამის შემდეგ ოქროს ქალღმერთი გაქრა.

თასის იდუმალმა გატაცებამ უხარმაზარი რეზონანსი გამოიწვია. მით უმეტეს, რომ ეს ამგვარი ნადავლის მეასამე მოპარვაა ინგლისში. 1895 წელი — მოიპარეს ამ ქვეყნის მთავარი საფეხბურთო პრიზი — თასი; 1907 წელი — პოლიციელსა და მეფე ედუარდ VII ცხვირწინ აცალეს ცხენოსანთა უძვირფასესი ჯილდო — ოქროს თასი; 1966 წელი — „აორთქლდა“ ოქროს ქალღმერთი...

დეპეშათა სააგენტოები მთელს სამყაროს გადასცემენ ახალ-ახალ ცნობებს ამ ამბავზე, რომელსაც პირობითი ინდექსიც („ფტ“) კი მისცეს.

ინგლისის პარლამენტში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ჰაუელმა, რომელიც ამავე დროს სპორტის საკითხებს განაგებს, განაცხადა: „ჩვენ პირდაპირ თავი მოგვეჭრა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თასის გამტაცებელ ადამიანებს ინგლისის კარგი სახელისადმი პატივისცემის ნატამალი დარჩენიათ და ისინი დაბრუნებენ მსოფლიოს ჩემპიონთა პრიზს“.

ასეა თუ ისე, ახლა ლონდონში მიღებულია სასწრაფო ზომები თასის შესაცვლელად.

განგსტერები თუ სტუდენტები?

ლონდონი, 22 მარტი. ბრიტანეთის პრესის ასოციაციაში საღამოს ტელეფონის ზარი გაისმა. ვიღაცამ ყრუ ხმით სწრაფად თქვა: „ყოველივე ეს მხოლოდ ხუმრობა იყო, სტუდენტების ხუმრობა თუ თქვენ საქველმოქმედო მიზნებისთვის 50 გირვანქა სტერლინგს შეიტანთ, „ოქროს ქალღმერთი“ დაგიბრუნდებათ“. და ყურმილი უმალ დაკიდა...

ეს ზარი ერთადერთი როდი იყო. ვიღაც უცნობმა სკოტლანდ-იარდშიც კი დარეკა და განაცხადა, რომ ქიურ რიმეს თასი „გრეიჰაუნდის“ სტადიონზეა, ლონდონის ისტ-ენდში.

მაგრამ პოლიციის დეტექტივები სკეპტიკურად უყურებენ ტელეფონით გადმოცემულ ამგვარ ცნობებს. „ლაპარაკი ხუმრობაზე — ეს მართლაც ხუმრობაა“, — ამბობენ ისინი. კვლავინდებურად წარმოებს ფეხბურთელთა დაკარგული თასის ენერგიული ძებნა და კვლავინდებურად ეჭვის ქვეშაა დაყენებული ყველა „თხელტანჩა, შავთმიანი, საშუალო ტანის ჯენტლმენი“, მაგრამ რამდენი ასეთია ლონდონში!

ამასობაში მთელი მსოფლიოსა და ინგლისის სპორტული საზოგადოებრიობა აღშფოთებისგან პირდაპირ ბობოქრობს. „წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია“, „აღმაშფოთებელია“, „სირცხვილი“ — ასეთი ანშლაგებითაა აჭრელებული გაზეთები. „ოლიმპიური თამაშები ქურდებისთვის რომ ეწყობოდეს, დიდი ბრიტანეთი ყველა პრიზს მოიპოვებდა ქვეყანაზე, სადაც ქურდებმა სა-



ფოსტო მატარებლიდან ერთბაშად გაიტაცეს 2.500 ათასი გირვანქა სტერლინგი, ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ მას მსოფლიო პირველობა ეკუთვნის“, — წერს ლონდონის გაზეთ „სანის“ მიმომხილველი.

ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა მისთან მიცვენილი კორესპონდენტებისგან ნიუ-იორკში შეიტყო ნიკეს მოტაცების ამბავი. გაოგნებულმა პრეზიდენტმა მხოლოდ იმის თქმა შეძლო, რომ დაუყოვნებლივ ბრუნდება ლონდონს, რათა „ამ საქმეში უშუალო მონაწილეობა მიიღოს“.

განსაკუთრებით დიდი აღშფოთებაა ბრაზილიაში. „ეს ჩვენში არასდროს მოხდებოდა, — განაცხადა ქვეყნის სპორტული კონფედერაციის წევრმა ა. ტებეგმა. — ჟიულ რიმეს თასი ჩვენთვის მხოლოდ ბაჯაღლო ოქრო როდია. ესაა ჩვენი სპორტული ისტორიის სიმბოლო, ჩვენი იმედი მომავალ ჩემპიონატში გამარჯვებისა. ბრაზილიელ ქურდებსაც კი იმდენად უყვართ ფეხბურთი, რომ ამგვარ რამეს არ ჩაიდენდნენ“.

ინგლისური გაზეთები ახლა იხსენებენ, რომ იანვარში, როცა ბრაზილიელებმა ოქროს ქალღმერთი კენჭისყრის ცერემონიალზე ლონდონს ჩამოიტანეს, მასპინძლები გააფრთხილეს, რომ თასის დაცვის ღონისძიებანი საკმარისი არ არის თვით ბრაზილიაში თასი ერთ-ერთ ბანკში ინახებოდა იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა თასი ექსპონატის სახით რომელიმე გამოფენაზე მიჰქონდათ. მას მთელი დღედაღამის განმავლობაში იცავდნენ. პოლიციელები ოთხიოე მხარეს ედგნენ თასს და მწყაველებს ახლოს არ აკარებდნენ.

კადიგკა, 22 მარტი. დამთავრდა საკავშირო საუწყებო გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ოთხდღიან ტურნირში გაიმარჯვა ცსკა-მ. II იყო „სპარტაკი“, III — „დინამო“.

ერევანი, 22 მარტი. ხუთჭიდელთა ტურნირში, რომელიც მონაწილეობდნენ სომხეთისა და სსრ კავშირის ნაკრების წევრები, ვ. ზახარენკომ და პ. ლედნიოვმა ერთნაირი შედეგი (5035 ქულა) აჩვენეს. პირველობა მიეკუთვნა ზახარენკოს.

ЛЕЛО

მეოთხე „ოქრო“

ქალუმად იგრძნობა მზისგან გამთბარი, მაგრამ ჯერ კიდევ გაუმშრალი მიწისა და ჭორფა ბალახის სურნელი. ტალახმა დაამძიმა ბორბლები. მაგრამ მოტოკროსში სსრ კავშირის პრადი პირველობის III ეტაპის მონაწილეთა სისწრაფე მაინც დიდია. სობუმში, აჭადარის ფერდობებზე 1650-მეტრიანი წრის ირგვლივ ყველაზე უკეთ მაყურებლები მოეწყვნენ. ისინი ისე ხედავენ შეჯიბრების ყველა მომენტს, როგორც ბაზებს ხელის გულზე. სპორტსმენებს კი საკმაოდ რთული ამოცანა აქვთ გადასაწყვეტი...

— მარჯვედ, ძალიან მკვირცხლად მიჰქრიან „ხუთასიანები“, — მეუბნება კიეველი სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. გრიგორიევი.

მე ვისარგებლე იმით, რომ გრიგორიევი 500 კბსმ-ის მოტოციკლებით რბოლის I ცდისას ჩემს გვერდით იდგა და ვთხოვე კომენტარები გაეკეთებინა ასპარეზობისთვის.

— „ლელოსთვის“ სიამოვნებით! — მიპასუხა. — ამ 18 მონაწილეს შორის მხოლოდ ზ. კალანდია, ვინც რუსთავისა და თბილისის ეტაპებზე გაინაღდა შედალი და ისიც ოქროსი. და მაინც, შეხედეთ, როგორი თავგანწირვით მიილტვის ფინიშისკენ. ხომ შეამჩნიეთ, რა ცუდი სტარტი ჰქონდა რიგელს. ამიტომაც გაუსწრეს მას ი. კაზაკოვმა, ა. მატვეევმა, ა. ვორონინმა და ს. ჩირცევმა.

ახლა კალკისი მეხუთეა, მაგრამ ვგრძნობ, რომ ამით არ დაკმაყოფილდება და შეეცდება ახლაც ისახელოს თავი.

მართლაც, რიგელი ოსტატი კარგა ხანს „შორიდან“ შეჰყურებდა ლიდერთა რბოლას, ხოლო როცა ფინიშამდე 2 წრე დარჩა, სიჩქარეს უმატა და შეეცადა ლიდერები რბოლიდან გამოვიდა და გულშემატკივრებმაც უმალ შემოარტყეს ალუა და მხურვალედ მიულოცეს ჩემპიონობა.

— 27 წლისა ვარ, — გვითხრობდა კალკისი. — 10 წელია მოტოსპორტს მივსდევ. ჩემთვის ყველაზე ბედნიერი წლები? 1961 წელს პირველად გავხდი სსრ კავშირის ჩემპიონი, 1962 წელს მეუღლემ ვაჟი მაჩუქა, მაგრამ ვალში არ დავრჩი. — მეორე ოქრო მოვიპოვე. ერთი წლის მერე მესამე გამარჯვება დავინაყურე. და აი, წლეულს სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მეოთხე მედალი მოვიხვეჭე.

ვიდრე კალკისი გვიამბობდა, მისი კოლეგები ფინიშს უახლოვდებოდნენ. დამთავრდა ბოლო წრე. ვერცხლის მედალს დაეპატრონა კიეველი ი. კაზაკოვი, სერპუხოველი ი. მატვეევი კი ბრინჯაოს დაჯერდა.

შემდეგ გაიმართა საჩვენებელი რბოლები 250-ანებით. იგი მოიგო ჩვენმა თანამოსაუბრემ ი. გრიგორიევმა. საქართველოს სპორტსმენებიდან ა. კლდიაშვილი I ცდისას VI იყო, მეორე სერიის დროს კი დაშავდა და რბოლას გამოაკლდა. რაც შეეხება ა. ვავიას, მან VIII და VII ადგილები დაიკავა.

ვ. გაიგურთი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
სოხუმი.

* * *

სურათზე: ზ. კალანდია (წინა პლანზე) ასპარეზობისას.

რედკოლეგიაში

ბოლო სტარტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკურიანი, 22 მარტი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს სამთო-მოთხილამურეთა პრად-გუნდური ასპარეზობის ბოლო დღისთვის ჩასატარებელი დარჩა მხოლოდ ერთი სახეობა—ქალთა სპეციალური სლალომი. სწორედ მას უნდა გადაეწყვიტა 3 ამოცანა: ვინ გახდებოდა საზოგადოების ჩემპიონი ამ სახეობაში, ქალთა სამჭიდში და როგორ განაწილდებოდა სპრიზო ადგილები საერთო გუნდურ ჩათვლაში.

და აი, გუშინ კოხტაგორა კვლავ ახმიანდა. საკავშირო ასპარეზობის მონაწილენი წლევანდელ სეზონში უკანასკნელად ეწვივნენ მას თოკლიან ბილიკებს. შეჯიბრებისადმი ინტერესს ისიც ზრდიდა, რომ სწორედ აქ უნდა დამთავრებულიყო მოსკოველი ე. კაბინასა და ლენინგრადელი ს. დემიდოვას „დუელი“ სამჭიდში გამარჯვებისთვის. მანამდე მეტად უმნიშვნელო უპირატესობა მოსკოველის მხარეს იყო, მაგრამ თავად კაბინა ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მან ისიც კარგად იცოდა, რომ დემიდოვა სპეციალურ სლალომში მასზე ძლიერია, ამიტომაც მოსკოველში გრძნობამ აჯობა გონებას: იგი პირველსავე ცდაზე მეტისმეტად დიდი სისწრაფით დაეშვა და... ერთ-ერთ კართან ინერციამ შორს გასტყორცნა.

არც დემიდოვას დაადგა კარგი დღე—კარი გამოტოვა, მაგრამ შეცდომა დროულად გამოასწორა და 51 წამში დაამთავრა ტრასა. I ცდის მერე მას ჯობდნენ ბაკურიანელი ნ. ომიაძე—48,6, ესტონელი ე. ტრუუმი—44,6, მოსკოველი გ. ვოლკოვა—43,2 და კიდევ რამდენიმე მოთხილამურე.

სამაგიეროდ, დემიდოვას ამოცანა ახლა უფრო ნათელი იყო. მას სლალომში გამარჯვების ძალიან მცირე შანსი რჩებოდა, სამჭიდში პირველობისთვის კი III ადგილიც ჰყოფნიდა. ამიტომ მან II ცდისას უფრო ფრთხილად იარა, ყველაზე კარგი შედეგი (47,3) აჩვენა და საბოლოოდ II ადგილი მოიპოვა—1.38,3. სპეციალურ სლალომში საზოგადოების ჩემპიონი გახდა ვოლკოვა — 1.35,6. ნ. ომიაძე VI ადგილზე გავიდა — 1.45,1.

შეჯამდა სამჭიდის მაჩვენებლები. აქ პირველობა წილად ხვდა დემიდოვას. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ა. კოხიაევა (მოსკოვი) და ვოლკოვა.

ომიაძე სამჭიდშიც VI იყო. ეს გოგონა უდავოდ ქების ღირსია, ვინაიდან მან წლეულს რამდენიმეჯერ შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმა და მუდამ ღირსეულად ებრძოლა მასზე გამოცდილ მეტოქეებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში ივი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო სამთო-მოთხილამურე გახდება.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. მოსკოვი, 2. საქართველო, 3. რსფსრ I.

* * *

სურათზე: ვაჟთა სამჭიდში მესამე პრიზიორი, სპორტის ოსტატი ი. ჯანგობეგოვი დისტანციაზე.

ფოტო ო. ელაშვილისა.

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

პირველი მასპინძელი

ჩვენმა ტყვიით მსროლელებმა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადება ნაკრების გაახალგაზრდავებით დაიწყეს. პირველი გამოცდა „ახალბედებმა“ შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში ჩააბარეს და უნდა ითქვას, ისინი მასწავლებლებს არ ჩამორჩნენ...

სპარტაკიადისთვის სამზადისი გრძელდება. მისი ერთ-ერთი ეტაპია რესპუბლიკის პირად-გუნდური ჩემპიონატი, რომელიც ავჭალის სასროლეთზე მიმდინარეობს. ყველა სახოგადოებამ ცეცხლის ხაზზე გამოიყვანა ვაჟთა, ქალთა და იუნიორთა გუნდები, რომელთა პირველობანი ცალ-ცალკე თამაშდება და მხოლოდ საერთო გუნდური ჩათვლისთვის შეჯამდება მათი მაჩვენებლები. ყოველ გუნდს შემადგენლობაშია 4 ვაჟი, 3 ქალი და 2 იუნიორი.

ავჭალის სასროლეთი პირქუშად შეხვდა მოსპარპუთ. ცივა, ძლიერი ქარი ღრუბლებს ერეკებოდა, რის გამოც ყოველ წუთში იცვლებოდა განათების ხასიათი. ანგარიშინდში მალალ შედეგებზე ფიქრიც კი ზედმეტია. მაგრამ სპორტსმენები როდი შედრკნენ. გუნდები გუშინწინ მცირეკალიბრიანი მაშხანთ 50 მეტრზე წოლილა სროლაში (60 გასროლა) ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. როგორც ვაჟთა, ისე ქალთა და იუნიორთა ტურნირში დინამოელებმა გაიმარჯვეს: ვაჟებმა 2.252 ქულა დააგროვეს, ქალებმა — 1.665, იუნიორებმა — 1.111. სხვა პრიზიორთა მაჩვენებლები ასეთია: ასკ — შეჯამისად 2.221, 1.635 და 1.072, დოსააფი — 1.638, 1.522 და 1.091.

პირად პირველობაში წლეულს საქართველოს პირველი ჩემპიონი გახდა არმიელი სპორტის ოსტატი ვ. პანკოვი (თბილისი) — 575 ქულა. ეს იყო I თანრიგის ერთადერთი შედეგი, რომელიც ამ დღეს აჩვენეს. II და III ადგილები მოიპოვეს ოსტატობის კანდიდატმა გ. ღუდუშაურმა (სოხუმის „დინამო“) — 570 და გ. ბუჩუკურმა (თბილისის „დინამო“) — 564.

ქალთა შორის ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი ს. ზასკო (თბილისის „დინამო“) — 561, II იყო სპორტის ოსტატი ლ. ალიხანოვა (სოხუმის „დინამო“) — 557, III — სპორტის ოსტატი ნ. ერმიშიანი (თბილისის ასკ) — 555.

იუნიორთა ტურნირი მოიგო ი. ბარსუკოვმა (თბილისის „დინამო“) — 569 ქულა.

შეჯიბრება გრძელდება.

ა. გაჩრაძე,
საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი ტყვიით სროლაში.

ცნობარი

ცხაკაია

დაძაბულ ბრძოლაში განვლო რაიონის მოსწავლეთა პირადგუნდურმა პირველობამ ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 9 კოლექტივი. I ადგილი დაიკავა შე-4 საშუალო სკოლის გუნდმა, რომელშაც ყველა შეხვედრა მოიგო. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ მეოთხესკოლელები შ. ეფრემაშვილი და ლ. კუმკინა.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცაგერი

გაიმართა რაიონის ქალთა V სპარტაკიადა. ჰადრაკში გამარჯვებულ ლასტურიშელებმა, მაგიდის ჩოგბურთსა და სროლაში — ცაგერის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა. მაგიდის ჩოგბურთელთა პირადი პირველობის ფინალში გავიდნენ ცაგერელი ღები მ. და ნ. ყურაშვილები. ჩემპიონი გახდა მანანა.

ზ. ხვადაგიანი,
ცაგერის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

კასპი

17 კაცის მონაწილეობით აქ დამთავრდა რაიონის პირველობა რუსულ შაშში. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა მ. შავლაშვილმა (14 ქულა). II იყო ვ. პავლიაშვილი (13,5), III — ა. შალუტაშვილი (11,5).

ზ. კიკაჩეიშვილი,
კასპის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

ესტაფეტა გზას განაგრძობს

სოხუმი, 21 მარტი (**ჩვენი სპეც. კორ.**). „კოლხიდა“ და „პეტროდვორეცი“, რომლებთანაც „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს რესპუბლიკური ესტაფეტა ბათუმიდან დაიწყო, შტაბში მოექცნენ. მაგრამ ესტაფეტამ მაინც დროზე მიაღწია დანიშნულების პუნქტს. სოხუმში „მეზღვაურებს“ შეუერთდნენ ტყვარჩელიდან დაძრული მოტოციკლისტები, რომლებმაც შრომასა და სპორტში განაღდებულ ვალდებულებათა პატაკი ჩამოიტანეს.

აფხაზეთის დედაქალაქში ესტაფეტას ფეხსაცმლისა და სამკერვალო ფაბრიკების კოლექტივები მასპინძლობდნენ. აფხაზეთის „განთიადის“ კოლექტივებმა უკვე მოამზადეს 250 თანრიგოსანი, 200 ნიშნოსანი და 400 კაცით გაზარდეს საზოგადოების წევრთა რიცხვი. ეს კი საყურადღებო ვალდებულების გადახარებით განაღდებაა.

გუშინ ესტაფეტამ კურსი ენგურჰესისაკენ აიღო.

თ. გაჩეჩილაძე.

შემთხვევა, რამაც ეს სასამართლო პროცესი გამოიწვია, 1965 წლის 13 ივნისს მოხდა. იმ დღეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მასპინძლები მოსკოველ თანაკლუბელებთან თამაშობდნენ. დიდი ფეხბურთის საყურებლად გულშემატკივრებმა თამაშის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მიაშურეს სტადიონს. ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა. ზოგმა კიბეზე მონახა ადგილი, ზოგი ფეხზე იდგა და ბილეთიან მაყურებლებს გაელას უშლიდა.

როგორც იქნა, პირველი ტაიმი დამთავრდა.

სტადიონის დიქტორმა გამოაცხადა, რომ შესვენებაზე მძლეოსანთა შეჯიბრება მოეწყობოდა.

— ბიჭებო, ახლა მაინც გაიწით, გეყოფათ, რაც პირველ ტაიმში დაგვტანჯეთ. ეს შეჯიბრება მაინც გვაყურებინეთ, — გადასძახა ლერი ნებურიშვილმა მის წინ, კიბეზე მოკალთებულ ჯემალ ჭუმბურიძესა და როლან ბოჭორიშვილს

ბოჭორიშვილმა და ჭუმბურიძემ სამართლიანი საყვედური გაიოცეს, იუკადრისეს, ერთმანეთს მხარი აუბეს, არამკითხე მოამბეს დაემუქრნენ და მუქარას უშვერი გინებაც მიაყოლეს.

— სირცხვილია, შვილო, სირცხვილი, რატომ იგინებით. თქვენ თავს თუ პატივს არ სცემთ, ხალხს მაინც მოერიდეთ, — გადმოსძახა თავხედებს ერთმა ხანდაზმულმა გულშემატკივარმა.

— ყველაფერი ამისი ბრალია, — დაიღრიალა ბოჭორიშვილმა, ერთი ისკუპა, ლ. ნებურიშვილს ხელი ხტაცა, თავისი ადგილიდან გადმოათრია, წაკაკია და წიხლებით შესდგა. ჭუმბურიძე იქვე ტრიალებდა და ძმაკაცს აქეზებდა.

აღშფოთებულმა ხალხმა ხულიგნებს ძლივს გამოხტაცა უდანაშაულო ახალგაზრდა. გაოგნებული ნებურიშვილი დასავლეთისა და სამხრეთის მარცხენა მხარის ტრიბუნების გამყოფ კიბესთან ზურგით დადგა. ჯ. ჭუმბურიძემ დრო იხელთა, შეუმჩნევლად მიუახლოვდა მას და სახეში გაარტყა.

მოულოდნელი გარტყმა საბედისწერო აღმოჩნდა. ნებურიშვილი ერთი გადაქანდა, თავი ვერ შეიკავა და პირველ იარუსზე გადავარდა. ხულიგნების მსხვერპლი მესამე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა კისრის მალების მოტეხილობით და ტვინში სისხლის ჩაქცევით. დამნაშავეებმა არეულობით ისარგებლეს და თვალსა და ხელშუა გაქრნენ, მაგრამ დიდხანს ვერ დაიმალნენ.

ერთ კვირას გაგრძელდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელი სესია, რომელმაც მ. ბლიაძის თავმჯდომარეობით განიხილა ჯ. ჭუმბურიძისა და რ. ბოჭორიშვილის სისხლის სამართლის საქმე.

ჯ. ჭუმბურიძე 1938 წელს არის დაბადებული, განათლებით ინჟინერია, რ. ბოჭორიშვილი კი 1937 წელსაა დაბადებული და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი იყო.

სასამართლომ ჯ. ჭუმბურიძეს 12 წლით და რ. ბოჭორიშვილს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ზ. მესხენგისერი.

ერთი სასამართლო ქრონიკა

გუშინ... ორჯერ 1:0

თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შედგა ჩვენი რესპუბლიკის „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი მატჩები შ. შავგულიძის სახელობის პრიზზე.

პირველად მინდორზე გამოვიდნენ სოხუმის „დინამო“ და რუსთავის „მეტალურგი“. პირველი ტაიმი ორმხრივი, მაგრამ უშედეგო იერიშებით აღინიშნა. ერთადერთი ბურთი გატანილ იქნა მე-60 წუთზე: სოხუმელთა მარცხენა გარემარმა ჭითანავამ კუთხურიდან მოჭრილი ბურთი გაგზავნა მეტოქის კარის შორეულ კუთხეში — 1:0.

საინტერესოდ დაიწყო მეორე მატჩი გურჯაანის „ალაზანსა“ და ზუგდიდის „ენგურს“ შორის. მაგრამ აი, მე-10 წუთზე ზუგდიდელთა თავდასხმის ლიდერმა ბულიამ ტრავმის გამო მინდორი დატოვა და „ენგურმა“ მთელი ყურადღება დაცვაზე გადაიტანა.

გურჯაანელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და მათი თავდამსხმელების უზუსტო დარტყმები რომ არა, დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვებდნენ. მათ მხოლოდ 55-ე წუთზე შეძლეს ბურთის გატანა „ენგურის“ კარში. გოლის ავტორია მარცხენა გარემარბი საბანაძე.

პირველ ეტაპზე

ამას წინათ გაიმართა თბილისის ველოსიპედისტთა ჯგუფური რბოლა 25 კილომეტრზე, რომელიც შედიოდა „ველოსპორტის რესპუბლიკური ფედერაციის თასის“ ჩათვლაში (შეჯიბრება სამ ეტაპად ტარდება).

დისტანციის პირველ ნახევარზე ძლიერმა პირქარმა მკვეთრად დასცა რბოლის საშუალო სისწრაფე. მოსახვევის შემდეგ მდგომარეობა გამოკეთდა. დროდადრო სისწრაფე სათში 60-70 კილომეტრს აღწევდა. რბოლას სათავეში ჩაუდგა საშინაო ველოსიპედისტი — ვ. კეხბა („დინამო“), ვ. ვასილევსკი (ასკ) და თბილისის 117-ე სკოლის მეცხრეკლასელი ვ. ფეტისოვი. ფინიშთან ფეტისოვმა „გაქცევა“ სცადა, მაგრამ სულ მალე ლიდერს ჯერ კიბბა დაეწია, შემდეგ კი — მთელი ჯგუფი.

გადამწყვეტი „სპრინტი“ დინამოელმა ე. მელკოვმა მოიგო. II ადგილზე იყო ვ. ფეტისოვი, ხოლო III — ნ. კლევცოვი (ასკ).

ორი მომდევნო ეტაპი გაიმართება 27 მარტს და 3 აპრილს.

მ. ბარამია.

სრულწლიური წვრთნის ისეთი შესაძლებლობა, როგორიც წლეულს იყო საქართველოში, კარგა ხანია არ ახსოვთ მძლეოსნებს. თბილმა ამინდმა „სპორტის დედოფლის“ მომდევრებს საშუალება მისცა რეგულარულად ევარჯიშათ ღია ცის ქვეშ. ბუნების ამ წყალობას კარგად იყენებენ ზუგდიდის სპორტული სკოლის აღსაზრდელებიც, რომლებიც მწვრთნელის ფ. თოდუას ბელმძღვანელობით ხშირად ვარჯიშობენ სტადიონ - ბოიდრომსა და სხვა მოედნებზე.

* * *

სურათზე: სპორტსკოლელები მორიგი მეცადინეობის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(ჩვენი სპეც. კორ.).

21 შეკითხვა ვეტერანს

ა. პეტკიავიჩუსი

ფოტო მ. ზარგარიანისა.

კ. პეტკიავიჩუსის სახელთან საბჭოთა კალათბურთის ბევრი ბრწყინვალე გამარჯვებაა დაკავშირებული. სახელგანთქმული სპორტსმენი წლების მანძილზე წარმატებით იცავდა სარ კავშირის ნაკრების ღირსებას. კ. პეტკიავიჩუსი კალათბურთის მოყვარულებს ახლოვთ როგორც ჭკვიანი, დაკვირვებული, ენერგიული და მაღალტექნიკური მოთამაშე. მასთან საუბარი, რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა. და აი, ჩვენმა კორესპონდენტმა იგი ინტერვიუს ობიექტად აირჩია. ღუაწლმოსილმა ოსტატმა ჩვენს ყველა შეკითხვას სიამოვნებით გასცა პასუხი. ვთქვათ ამ საუბრის ტექსტს.

● სად მუშაობთ?

— კაუნასის ფიზკულტურის ინსტიტუტში სპორტთამაშობათა კათედრის უფროს მასწავლებლად.

● როგორ შეეგუეთ კალათბურთთან განშორებას?

— კალათბურთს ვერასდროს ვუღალატებ: ეთამაშობ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდში. მართალია, ეს დიდი კალათბურთი არ გახლავთ, მაგრამ თამაში მაინც უსაზღვრო სიამოვნებას მგვრის. „სიბერეში“ ბადმინტონის ნიჭი აღმომაჩნდა: ვარ კაუნასის ჩემპიონი და ლიტვის ვიცე-ჩემპიონი. უნდა გაგანდოთ, რომ ბადმინტონის თამაში კალათბურთზე ძნელი ყოფილა.

● საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე რომელი გუნდი მოგწონთ ყველაზე მეტად?

— თბილისის ტურში — კიევის ასკ (თავისი მონოლითურობით), ტალინის ტურში კი საუკეთესო იყო „კალევი“.

● ხად მოღვაწეობენ თქვენი საბრძოლო კოლეგები — ბუტაუტასი, ლაგუნავიჩუსი, სტონკუსი, სერციავიჩუსი და სხვები?

— ბუტაუტასი კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდის უფროსი მწვრთნელია, ლაგუნავიჩუსი ფიზკულტურის ინსტიტუტში თეორიის კათედრის უფროსი მასწავლებელია, სტონკუსი იმავე ინსტიტუტში სპორტთამაშობათა კათედრის გამგე გახლავთ, ხოლო სერციავიჩუსი (თბილისში მას „როზად“ იცნობენ) — მედინსტიტუტში უფროსი მასწავლებელი.

● დაასახელეთ თქვენი დროის 10 უძლიერესი კალათბურთელი.

— ჭორქია, ლისოვი, ბუტაუტასი, სერციავიჩუსი, ჯორჯიკია, პუტმახერი, რეშეტნიკოვი, ალექსეევი, სემიონოვი, კრუსი.

● ვის წინააღმდეგ გიჭირდათ თამაში?

— ალექსეევის, რეშეტნიკოვისა და ვ. მუიენიეკსის წინააღმდეგ.

● რომელი გუნდი მიგაჩნიათ თანამედროვე კალათბურთის ეტალონად?

— ნაკრებებში სსრ კავშირი და აშშ, საკლუბო გუნდებში — არც ერთი.

● რა განსხვავებაა ძველსა და ახალ კალათბურთს შორის?

— თანამედროვე კალათბურთში მომწონს სროლების სიზუსტე, მაგრამ გიგანტთა მიზეზით ყველა გუნდი ერთფეროვნად თამაშობს (ტარტუს „კალევის“ გარდა). წინათ კალათბურთი უფრო გააზრებული და ტექნიკური თამაში იყო და ამის გამო — უფრო საინტერესოც და სანახაობრივად სასიამოვნო.

● დაასახელეთ თქვენი დროის 5 უძლიერესი გუნდი.

— რიგისა და მოსკოვის არმიელები, თბილისის „დინამო“, „კალევი“ და „ჟალგირისი“.

● ვინ მიგაჩნიათ საბჭოთა კალათბურთის საუკეთესო მსაჯებად?

— ი. ბელიაევი (მოსკოვი), ა. კიაპი (ტალინი) და ვ. ჯაფარიძე (თბილისი).

● არის თუ არა განსხვავება ძველ მსაჯებსა და ახლებს შორის?

— განსხვავება, რა თქმა უნდა, არის და, პირველ ყოველისა, მსაჯობის ხარისხში. წინათ მსაჯობა უფრო კვალიფიციური იყო. ახლა მსაჯთა დაბალი კვალიფიკაციის გამო ზოგჯერ გუნდების ნამდვილი ძალა ძნელი დასადგენია.

● რა მოგწონდათ თბილისის ძველ „დინამოში“ და რით განსხვავდება მისგან ახლანდელი გუნდი?

— ძველ „დინამოს“ ახასიათებდა სწრაფი, ტემპერამენტიანი, გააზრებული, მოქნილი და მრავალფეროვანი თამაში. თავდასხმაზე რომ არაფერი ვთქვა, დაცვა უაღრესად ეკონომიურად და ჭკვიანურად მოქმედებდა. ყოველივე ეს, განსაკუთრებით კი დაცვაში წესიერი თამაში, აკლია ახლანდელ „დინამოს“.

● როგორია თქვენი აზრით სსრ კავშირის „იდეალური ნაკრები“?

„ლელოს“ ინტერვიუ

— ჭორქია, ლისოვი, ბუტაუტასი, ლაგუნავიჩუსი, ჯორჯიკია, კულამი, ალექსეევი, ვოლნოვი, პაულაუსკასი, ტრავინი, ჩეჩურა და ტომსონი (ტარტუს „კალევიდან“). განსაკუთრებით დაიხსომეთ ამ უკანასკნელის გვარი. ტომსონი უეჭველად გახდება თანამედროვე კალათბურთის ვარსკვლავი.

● რა გიყვართ ცხოვრებაში ყველაზე მეტად?

— სიმღერა, ვინაიდან აუტანლად ცუდად ვმღერი. ჩემი საყვარელი ოპერაა „კარმენი“.

საკავშირო ჩემპიონატი ჩვეულებრივ ვითარებაში კულუარებში

კალათბურთი

● კალათბურთის გარდა სპორტის რომელ სახეობას სცემთ პატივს?

— მაყვარს მძლეოსნობა, ვთამაშობდი ფეხბურთს და ფრენბურთს, ახლა — ბადმინტონს.

● ვინ მიგაჩნიათ სსრ კავშირის საუკეთესო სპორტსმენად?

— ი. ტერ-ოვანესიანი და ვ. ბრუმელი.

● არის თუ არა თანამედროვე კალათბურთში ლისოვის მასშტაბის მოთამაშე?

— ახლა მისი მსგავსიც კი არ არის.

● რა მოგწონთ ყველაზე მეტად თბილისში?

— სტუმართმოყვარეობა, ახალ-მშენებლობები და სპორტის დიდებული სასახლე.

● რომელ ჭარბველ კალათბურთელთან მეგობრობთ?

— ოთარ ჭორქიასთან, ნოდარ ჯორჯიკიასთან და, რა თქმა უნდა, ვაჟა ყენტონთან. ვაჟას და მე ხომ ერთმანეთში „ძველი ანგარიშები“ გვაქვს!

● შეძლებდით თბილისში ცხოვრებას?

— დიდი სიამოვნებით.

● ხომ არ გადასცემთ ორიოდე სიტყვას „ლელოს“ მკითხველებს?

— გიყვართ და უწინდელივით დაუჭირეთ მხარი „დინამოს“.



შემოქმედებით პაექრობაში

საქართველოს ვაჟთა წლევანდელ საპადრაკო ჩემპიონატში დაბაბული სპორტული ბრძოლის მხარდამხარ მიშდინარეობს არანაკლებ დამუხტული შემოქმედებითი ჭიდილი. მოჭადრაკენი ამყღავნებენ მდიდარ ცოდნას, გონებამახვილობას და გამარჯვებისადმი დაუოკებელ სწრაფვას.

გთავაზობთ პირველ ხუთ ტურში გათამაშებულ რამდენიმე საინტერესო პარტიას.

ბ. გურგენიძე — ა. ბოკუჩავა

ინგლისური დაცვა

ამ პარტიაში ყურადსაღებია თეორების სადებიუტო სტრატეგია, რომლის მეოხებით ისინი ოსტატურად ქმნიან სისუსტეებს მეტოქის ბანაკში.

1. ჭf3 c5 2. g3 g6 3. ♗g2 ♗g7 4. 0—0 ♘c6 5. d3 e6 6. ♘bd2 ♘ge7 7. ♕b1 ♕b3 8. ♘e4 d6 9. ♗g5 f5 10. ♘c3 h6 11. ♗d2 0—0 12. a3 h5 13. e4 a5 14 ♘e2 ♗b7 15. ♗f4 ♔d7 16 ef ♗:f5 17. ♗:g6 ♖f6 18. ♘gh4 ♖bf8 19. ♗c3 ♗:h4 20. ♗:h4 e5 21. ♗d5+ ♔h8 22. ♔h5 b4 23. ♗d2 ♘d4 24. ♗:b7 ♕:b7 25. ♘e3 ♖f5 26. ♕g4 h5 27. ♕e4 ♘e2+ 28. ♔h1 d5 29. ♕g2 ♖5f6 30. ♗:c5 ♘c8 31. ab ab 32. ♖e1 ♖:c5 33. ♖:e2 ♕c7 34. f4 შავები დანებდნენ.

რ. ჯინჯიხაშვილი — ა. ჩხაიძე

ლაზიერის გამგბიტი

ამ პარტიის ძირითადი შინაარსია იერიში მეფეზე. დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს თეორების დასკვნითი კომბინაცია კუს შეწირვით.

1. d4 d5 2. c4 e6 3. ♘c3 ♘f6 4. ♗g5 ♗e7 5. ♘f3 ♘bd7 6. e3 0—0 7. ♕c2 c6 8. ♖d1 h6 9. ♗h4 ♖e8 10. ♗d3 dc 11. ♗:c4 ♘d5 12. ♗g3 ♘:c3 13. bc ♕a5 14. 0—0 ♘b6 15. ♗d3 c5 16. ♘e5 ♖f8 17. ♗h7+ ♔h8 18. ♗g6 ♔g8 19. ♗h7+ ♔h8 20. c4 ♘d7 21. d5 ♘:e5 22. ♗:e5 ed 23. cd ♗d7 24. d6 ♗d8 25. ♗e4 ♖b8 26. ♗d5 f6 27. ♕g6 fe 28. ♗e4 ♔g8 29. ♕h7+ ♔f7 30. f4 ♗b5 31. ♗d5+ ♔e8 32. ♕g6+ შავები დანებდნენ.

თ. გიორგაძე — ა. რაზოვსკი

სიცილიური დაცვა

თამაზ გიორგაძემ მკაცრად დასაჯა მეტოქე სადებიუტო შეცდომისთვის.

რაზოვსკის მე-10 სვლაზე მხედარი უნდა აეყვანა c3-ზე, ხოლო შემდეგ ეთამაშა d6. შეცდომა ძვირად დაუჯდა მას.

1. e4 c5 2. ♘c3 ♘c6 3. ♗ge2 ♘f6 4. d4 cd 5. ♘:d4 ♕b6 6. ♘b3 e6 7. ♗e3 ♕c7 8. ♗d3 ♗b4 9. 0—0 0—0 10. f4 d6 11. ♘b5 ♕b8 12. a3 ♗a5 13. ♘:a5 ♘:a5 14. ♕e1 ♘c6 15. ♕h4 ♘e7 16. e5 de 17. de ♕:e5 18. ♗d4 ♘g6 19. ♗:g6 ♕:b5 20. ♗d3 შავები დანებდნენ.

რ. ჯინჯიხაშვილი — ა. ჩხაიძე

ლაზიერის გამგბიტი

ამ პარტიის ძირითადი შინაარსია იერიში მეფეზე. დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს თეორების დასკვნითი კომბინაცია კუს შეწირვით.

1. d4 d5 2. c4 e6 3. ♘c3 ♘f6 4. ♗g5 ♗e7 5. ♘f3 ♘bd7 6. e3 0—0 7. ♕c2 c6 8. ♖d1 h6 9. ♗h4 ♖e8 10. ♗d3 dc 11. ♗:c4 ♘d5 12. ♗g3 ♘:c3 13. bc ♕a5 14. 0—0 ♘b6 15. ♗d3 c5 16. ♘e5 ♖f8 17. ♗h7+ ♔h8 18. ♗g6 ♔g8 19. ♗h7+ ♔h8 20. c4 ♘d7 21. d5 ♘:e5 22. ♗:e5 ed 23. cd ♗d7 24. d6 ♗d8 25. ♗e4 ♖b8 26. ♗d5 f6 27. ♕g6 fe 28. ♗e4 ♔g8 29. ♕h7+ ♔f7 30. f4 ♗b5 31. ♗d5+ ♔e8 32. ♕g6+ შავები დანებდნენ.

თ. გიორგაძე — ა. რაზოვსკი

სიცილიური დაცვა

თამაზ გიორგაძემ მკაცრად დასაჯა მეტოქე სადებიუტო შეცდომისთვის.



ე. უბილავა

ამ პოზიციაში მწვავე კომბინაციური ბრძოლა გაჩაღდა. ცაიტნოტის მიუხედავად, უბილავამ შესანიშნავად ითამაშა. მან უგნებელყო ყველა მუქარა და პაიკიც მოიგო, მაგრამ გამარჯვებისთვის იგი საკმარისი არ აღმოჩნდა:

22. ef ♗:f6 23. ♘e4 ♗e7 24. ♖f1 e5 25. f5 d4 26. ♗f2 ♕c6 27. ♖e1 ♖:f5 28. ♗:d4 ♖cf8 29. ♔g3 ♖f2 30. ♕e4 ♖:d2 31. ♕:c6 ♗:c6 32. ♘:d2 ♗b4 33. ♗c3 ♗c5+ 34. ♔h1 b4 35. ♗:e5 ♖e8 36. ♘b3 ♗f2 37. ♖f1 ♗:g3 38. ♗:g3 ♖e2 39. ♗f2 ♗b5 40. ♘d4 ♖:c2 41. ♘:c2 ♗:f1 42. ♘:b4 ♔f7 43. ♔g1 ♗c4 44. ♗d4 g5 45. ♔f2 ♔e6 46. ♔e3 h5 47. ♔e4 ♗f1 48. g3 ♗g2+ 49. ♔e3 ♗b7 50. ♘d3 ♔f5 51. ♗c3 ♗c6 52. b4 ♗b5 53. ♘f2 ♗f1 54. h3 ♘e5 55. ♗:e5 ♔:e5 56. h4 gh 57. gh ♔f5 58. ♘e4 ♔g4 59. ♘d6 ♗g2 60. ♘e4 ♗f1 ყაიმი.

თ. გიორგაძე.

* * *

გადადებული პარტიების დამთავრებისას, რომელიც გუშინწინ V ტურის შემდეგ შედგა, ბუღაევმა მოუგო უბილავას, ალექსანდრიამ — დავითაშვილს, რაზოვსკიმ — ჩიქოვანს. ყაიმით დამთავრდა დავითაშვილი — ჩხაიძის პარტია. კვლავ დაუმთავრებელი დარჩა ჩიქოვანი — ლომაიას შეხვედრა. შავებს ზედმეტი პაიკი აქვთ.

5 ტურის შემდეგ ლიდერობენ ბ. გურგენიძე (5), თ. გიორგაძე (4,5), რ. ჯინჯიხაშვილი და ა. ბუსლაევი (4-4).

გუშინ...

ცენტრალურ პატადრაკო კლუბში დაწყთავრდა თბილისის ქალთა საპადრაკო ჩემპიონატი. ასპარეზობის დასკვნით ტურში ჩომახიძემ მოუგო ხაჭყებიას, მანველოვამ — გოგიავას. ხუბულური—პილცერის, ხუგაშვილი — ბელოზიოროვას, ჩიქობავა — კუპრაშვილისა და სარაიდაროვა — გედენიძის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

მოგვყავს ჩემპიონატის საბოლოო შედეგები: I. ნ. ჩიქობავა (9,5), II. ქ. გოგიავა (7,5), III. ნ. ხუბულური (7), IV-VII. თ. ხუგაშვილი, ლ. ნაჭყებია, ლ. ბელოზიოროვა, მ. ჩომახიძე (6,5-6,5), VIII. ჯ. პილცერი (6), IX. ნ. მანველოვა (5,5), X. ც. კობაიძე (5), XI-XII. ი. გედენიძე და ც. სარაიდაროვა (4,5-4,5), XIII. ვ. კუპრაშვილი (2,5).

პირველ 6 ადგილზე გაბულნი მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატში.

ᲥᲐᲚᲘ ᲥᲕᲔᲨᲐ

● მოსკოვი, 21 მარტი. დღეს აქ ჩამოვიდნენ გდრ-ის მოცურავეები, რომლებიც ამხანაგურ მატჩში შეხვდებიან საბჭოთა სპორტსმენებს. მასპინძელთა რიგებში იქნებიან ოლიმპიური ჩემპიონი გ. პროზუმენშჩიკოვა, ოლიმპიადის პრიზიორი ს. ბაბანინა, ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდსმენები ხ. ბელიც-გეიმანი, გ. პროკოპენკო და სხვ.

● ლაკტი, 21 მარტი. ფინეთში სტუმრად იმყოფებიან საბჭოთა მოთხილამურეები. ჩვენმა სპორტსმენმა ქალებმა კვლავ იასპელეს თავი: 5-კილომეტრიან დისტანციაზე I ადგილი დაიკავა მოსკოველმა ა. კოლჩინამ, ხოლო II — ლენინგრადელმა მ. გუსაკოვამ. სამაგიეროდ, ვაჟები ისევ წარუმატებლად გამოვიდნენ. სსრ კავშირის ზამთრის II სპარტაკიადის ოქროს 2 და ვერცხლის 1 მედლის მფლობელი ი. უტრობინი 30 კილომეტრზე რბოლაში მხოლოდ V იყო.

პრიზების კატრონები გაუგნდა

ლენინის სახელობის დარბაზში დამთავრდა თბილისის ქალათბურთელთა ასპარეზობა, რომელიც მიძღვნილი იყო საბჭოთა საქართველოს 45 წლისთავისადმი.

ქალთა გუნდებში უძლიერესი აღმოჩნდა დინამოელთა კოლექტივი (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. მესხი). პირველობისთვის ბრძოლაში მან დაამარცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (42:37), თბილისის გათალების განყოფილებისა (68:40) და უნივერსიტეტის (53:52) კოლექტივები. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა დაიკავეს II ადგილი. მათ მოუგეს უნივერსიტეტისა (43:41) და განათლების განყოფილების (38:37) გუნდებს.

დაძაბულად წარიმართა ვაჟთა ასპარეზობა. პირველობის ფავორიტებად აქ ითვლებოდნენ უნივერსიტეტელები (მწვრთნელი დ. ქამუშაძე). მათ მართლაც გაამართლეს მოლოდინი და ხუთივე მატჩის მოგებით უძლიერესისთვის განკუთვნილი პრიზი მოიპოვეს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი შეხვედრის მოგება მათ საკმაოდ გაუჭირდათ (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან — 69:64, „ცისარტყელასთან“ —66:64).

II საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა ძირითადად წარიმართა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტსა და „ცისარტყელის“ კალათბურთელთა შორის. ორივე გუნდი ძალიან ნერვიულობდა შეხვედრები მეტად დაძაბულად და საინტერესოდ ტარდება. როგორც წესი, მათს მატჩებში გამარჯვების სასწორი „ცისარტყელის“ მხარეს იხრებოდა. ამჯერადაც ვეტერანებმა იმარჯვეს (რ. ხომერიკი, ი. მირიანაშვილი, ა. ლომსაძე, ე. მარტიროსოვი და ქ. ჯაფარიძე) და ეს პრინციპული მატჩი წარმატებით დააგვირგვინეს —54:51.

მიუხედავად ზოგიერთი ხარვეზისა, შეჯიბრება ორგანიზებულად ჩატარდა. ამაში პატარა ღვაწლი როდი მიუძღვის გ. ქურციძეს, რომელმაც პირველად სცადა თავისი ძალები შეჯიბრების მთავარი მსაჯის „თანამდებობაზე“.

ლ. ფალავანდიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

* * *

სურათებზე: საბჭოთა საქართველოს 45 წლისთავისადმი მიძღვნილ ტურნირში გამარჯვებული გუნდები. ზევით — „დინამოს“ კოლექტივი (მარცხნიდან მარჯვნივ)— ა. მესხი (მწვრთნელი), მ. ჭობულია, მ. გურგენიძე, ლ. გურგენიძე, ლ. დვურეჩენსკაია, რ. შერზლიკინა, ი. პანინა, ე. სიხარულიძე, მ. ბერიძე, ვ. იურიევა, ქვევით — უნივერსიტეტის სპორტსმენები ფ. ცხადაძე, ი. უიფიანი, ა. წერეთელი, ზ. ტუშილაშვილი, ვ. მალიუტინი, კ. ლებანიძე, ნ. კასრაძე და მწვრთნელი დ. ქამუშაძე.

ნიჩბებით ატლანტის ოკეანეზე

ორი ინგლისელი, 29 წლის ჯონ ჰოური და 34 წლის დევიდ ჯონსტონი აპირებენ უბრალო სანიჩბოსნო ნავით ატლანტის ოკეანის გადალახვას. როგორც რეიტერის საagენტო იუწყება, მათი გზა 4.800 კილომეტრს შეადგენს. მსგავსი მოგზაურობა 70 წლის წინ ჩაატარა ორმა ნორვეგიელმა.

მოგზაურობის დაწყებას ინგლისელები ივნისში აპირებენ აშშ-ის ქალაქ ბოსტონიდან.

კალათბურთი... წყალსა და ყინულზე

ეს თამაში თქვენ არასოდეს გინახავთ...

აუზის ორივე მხარეს, წყლის ზედაპირიდან დაახლოებით ერთ მეტრზე, ორი კალათია აღმართული. 20-წუთიანი მატჩის განმავლობაში ორი გუნდის მოთამაშეები კალათბურთის წესების გამოყენებით ცდილობენ კალათებში ბურთის ჩაგდებას. გუნდებს მეკარეები არა ჰყავთ.

ეს თავისებური კალათბურთი გამოიგონა იაპონიის ცურვის ფედერაციის ერთ-ერთმა მოღვაწემ მასაო კუსიდამ. თამაშის მიზანია ახალგაზრდა მოცურავეთა ფიზიკური მომზადების გაუმჯობესება. კერძოდ, ფეხის კუნთების ვარჯიში.

ასოშიეიტედ პრესის საagენტოს გადმოცემით, ახალი თამაში ტოკიოს ერთ-ერთ აუზში იქნა ნაჩვენები.

ჩინეთის ჩრდილოეთ რაიონებში კი გავრცელდა კალათბურთი... ყინულზე. ღია მოედნებზე თამაშის სეზონი იქ წელიწადში მხოლოდ ხუთ თვეს გრძელდება. და აი, ერთ-ერთი ადგილობრივი სკოლის მოსწავლეები ციგურებით აღიჭურვნენ და ზამთარში კალათბურთის ბატალიები გააგრძელეს. მოგვიანებით წესებიც შეიმუშავეს და ახალი თამაში სწრაფად გავრცელდა.

უცხოეთის ამბები

▲ **კოპენჰაგენი.** დანიის ხელბურთელ ქალთა გუნდმა ამხანაგური მატჩში „გაანადგურა“ პოლანდიის ნაკრები — 22:4.

▲ **ლაიპციგი.** გდრ-ის მოცურავეთა ზამთრის ჩემპიონატში სამგზის გამარჯვება მოიპოვა ა. ვიგანდმა. იგი პირველი იყო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით (55,7), 100 მეტრზე ზურგზე (1.04,8) და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (4.59,8 ეროვნული რეკორდი). ქალთა შორის ზუსტად ამგვარი წარმატება მოიპოვა მ. პეშაინმა.

▲ **პარიზი.** სამთო-მოთხილამურეთა საერთაშორისო ასპარეზობაში „კანდაჰარის“ პრიზზე სამჯიდში გაიმარჯვეს: ქალთა შორის — კ. ჰაასზემ (ავსტრია), ვაჟებში — მასპინძელმა უ. კლოდ კილმა.

▲ **ბელგრადი.** პლანიცაში ყოველი მარტის დამლევს ეწყობა მსოფლიოს უძლიერეს მოთხილამურეთა შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში. წლეულს აქ იასპარეზებს 10 ქვეყნის 42 სპორტსმენი, რომლებიც იერიშს მიიტანენ ტრამპლინის რეკორდზე (იგი ეკუთვნის გდრ-ის „მფრინავ მთთხილამურეს“ ჰ. რეინგრუბერს და 124 მეტრს უდრის).

მ. ქაჯი — მეხუთე

რაბათი, 21 მარტი. მაროკოს დედაქალაქის მიდამოებში გამართული საერთაშორისო მძლეოსნური კროსის მაუურებლებს დიდი სიურპრიზი „უძღვნა“ მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მორბენალმა, ფრანგმა მიშელ ჯაზიმ. მან დაიკავა... V ადგილი. თუმცა „სპორტის დედოფლის“ მაროკოელი მოყვარულები ამ ამბით განაწყენებული როდი დარჩნენ: კროსის 12-კილომეტრიანი ძნელი ტრასა უველაზე სწრაფად გაირბინა მათმა თანამემამულემ ახუ ელ გაზიმ — 36.22,0.

ვინ იქნება ჩემპიონატის № 1 ფეხბურთელი?

ლონდონის გაზეთი „უორდ ნიუსი“ აწყობს კონკურსს „ვინ იქნება მსოფლიო ჩემპიონატის № 1 ფეხბურთელი?“.

კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ინგლისელი გულშემატკივრები. ფეხბურთელი, რომელიც კონკურსში I ადგილს დაიკავებს, დაჯილდოვდება 1.000 გირვანქა სტერლინგით.

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ I ადგილზე გასვლის შანსები აქვთ პელეს (ბრაზილია), იაშინს (სსრ კავშირი), ეუსებიოს (პორტუგალია) და ალბერტს (უნგრეთი).

რეკორდსმენმა ვერ გაიმარჯვა

ზაკოპანე, 21 მარტი. ეს წარმტაცი საagარაო ქალაქი ცნობილი პოლონელი მოთხილამურეების, ბრონისლავ ჩეხისა და ელენე მარუსაკის მემორიალის — ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების სარბიელი გახდა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი „მფრინავმა მოთხილამურეებმა“. ჰ. კვეკმა (გდრ) დაამყარა ზაკოპანეს დიდი ტრამპლინის ახალი რეკორდი — 105.5 მ. მაგრამ გამარჯვება წილად ხვდა პოლონელ რ. ვიტკეს, რომელიც გადახტა 101,5 და 100 მეტრზე.

დორტმუნდის წინ

წლევანდელი ზამთრის მძლეოსნური სეზონის მთავარი მოვლენაა ევროპის თამაშები დორტმუნდში. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის მძლეოსანთა დიდი ჯგუფი. ესენია თ. და ი. პრესები, ტ. შჩელკანოვა, ნ. ჩიჟოვა, გ. მიტროხინა ვ. კასტკინი, ვ. ანისიმოვი, ახალგაზრდა თარჯმორბენალი ვ. სკოროხოდი, ი. ტერ-ოვანესიანი, ჭოკით მხტომელები გ. ბლიზნეცოვი და ი. ფილდი, საშუალო ნაძვილზე ნიჭიერი მორბენალი ო. რაიკო, ვ. სკვორცოვი, რომელმაც გუნდში შეცვალა ჯ. ბრუმელი.

— რას ელით დორტმუნდის თამაშებისგან? — ჰკითხა აას-ის კორესპონდენტმა სსრ კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს გ. კორობკოვს.

— ველით, რა თქმა უნდა, კარგად გამოსვლას. მაგრამ გამარჯვებანი და რეკორდები ამ შემთხვევაში მთავარი როდია. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია გავეცნოთ ევროპის ათლეტთა ზამთრის შეჯიბრებების, ასე ვთქვათ, ვითარებას, შევამზადოთ ახალგაზრდები ზაფხულის სეზონში მოსალოდნელი საპასუხისმგებლო ტურნირებისთვის.

— ბარემ, ზაფხულის სეზონის შესახებაც ვილაპარაკოთ. ხელს ხომ არ შეუშლიან ზამთარში ჩაშირი გამოსვლები ზაფხულის სტარტებს?

— არა. პირველ ყოვლისა, ზამთრის შეჯიბრებები, ჩემი აზრით, ჯერ კიდევ უმგრია. ჩვენი ნაკრების წევრთაგან ზამთრობით ბევრს ასპარეზობდა მხოლოდ ვ. კუდინსკი, რომელიც ექვსჯერ გამოვიდა ახალ წელანდიაში და ჯამჯერ — ამერიკის შეერთებულ შტატებში. მეორეც, შეჯიბრება — ესაა ზამთრის წვრთნის აუცილებელი კომპონენტი, გაწეული მუშაობის თვალსაჩინო შემოწმება და, ამავე დროს, კარგი ფსიქოლოგიური მომზადება სტადიონზე გამოსვლების წინ.



სპორტული ბუნებაზე

კალათბურთი. სპორტის სასახლე. **23-25 მარტი.** სსრ კავშირის ვაჟთა გუნდების პირველობის დასკვნითი ტური. დღეს ერთმანეთს ხვდებიან: 13 ს. „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — ასკ (რიგა), 14 ს. 30 წ. ასკ (კიევი) — ასკ (ლენინგრადი), 16 ს. „ელვარიასი“ (ყაუნასი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი), 17 ს. 30 წ. „კალევი“ (ტარტუ) — ცსკა, 19 ს. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი), 20 ს. 30 წ. „სტროიტელი“ (კიევი) — ვეფ (რიგა).

ფეხბურთი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. **23 მარტი.** შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშება. „დილა“ (გორი) — „მეშახტე“ (ტყიბული). დასაწყისი 17 ს.

ჰადრაკი. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბი (ლენინის ქ. № 14). **23 მარტი-11 აპრილი.** საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. დღეს — VI ტური. დასაწყისი 17 ს.

ჰოკეი. საქართველოს ჰოკეის სასროლეთი. **23-27 მარტი.** საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 10 ს.

25 მარტს

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია „ბურევესტნიკის“ V რესპუბლიკური კონფერენცია.

დასაწყისი 11 საათზე.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს პროფსაბჭოს დარბაზში 10 საათიდან.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЗ 01490